

- პოლიტიკა
- ეკონომიკა
- რეგიონი
- სამხედრო თემა
- კულტურა
- კონფლიქტები
- სამართალი
- საზოგადოება
- მსოფლიო
- სპორტი
- ანონსი
- ექსკლუზივი
- ინტერვიუ
- თვალსაზრისი

საზოგადოება

მანანა ქოჩლაძე - "დარიალიჰესის" მშენებლობის ადგილი ჰიდროლოგიური და გეოლოგიური თვალსაზრისით შესწავლილი არ ყოფილა

15:21 17-05-2014



ტერიტორია, სადაც "დარიალიჰესის" მშენებლობა მიმდინარეობდა, არ იყო შესწავლილი არც ჰიდროლოგიური და არც გეოლოგიური თვალსაზრისით.

ამის შესახებ BPN-თან საუბრისას არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივას" ხელმძღვანელმა, მანანა ქოჩლაძემ განაცხადა. მისივე თქმით, აქედან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელია, რომ მთის მასის ჩამოწოლის მიზეზი სწორედ ჰესის მშენებლობა გამხდარიყო. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციაში

ამბობენ, ხელისუფლებას ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ აფრთხილებდნენ, რომ წყლის მასის 80-90%- ის გვირაბში გატარების შემდეგ, შენაკადებიდან წამოსული ნაშალი ამოვსებას დაიწყებდა და დაახლოებით ისეთ შედეგს მიიღებდნენ, როგორც დღეს მოხდა.

მანანა ქოჩლაძე იხსენებს, რომ მათ სასამართლოსაც მიმართეს, რათა გაუქმებინათ ჰესის მშენებლობაზე გაცემული დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზა, რაც ჰესის მშენებლობის შეჩერებას გამოიწვევდა.

დარიალის ხეობაში დღეს მთის მასა ჩამოწვა, რამაც მდინარე თერგის დაგუბება გამოიწვია. მთის მასაში მოყოლილი არიან ადამიანები, რომლებიც "დარიალიჰესის" მშენებლობაზე მუშაობდნენ. 15-მდე მათგანის ცოცხლად გამოყვანა უკვე მოხერხდა.

მასალის გამოყენების პირობები



Recommend 17

g+1 0

არქივი

«« მაისი 2014 »»

ორ	სა	ოთ	ხუ	პა	შა	კვ
	1	2	3	4		
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30	31	

მაისი 2014 >

სრული არქივი

ძიება

ამინდი თბილისი 21° სხვა ქალაქები

ფრენის ბანრიმი

მატარებლის ბანრიმი

აპკაპი.GE საინფორმაციო პორტალი



ინტერვიუ



სოსო ცისკარიშვილი - პოლიტიკური მიზნით ჰომოფობიური განცდების მობილიზება ჩვენი არაკეთილმოსურნე ქვეყნის ინტერესებში შედის

ყველა სტატია

InterPressNews.ge

Like You like this.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია (R)

ფონდი „ქართული გალობა“ ხალხური შემოქმედების დეველოპმენტის ოსტატებს

დააჯილდოებს

„ალტამ“ ფეხბურთის მოყვარული მამაკაცებისთვის და მათი მუღუღეებისთვის, სპეციალური აქცია დაიწყო

„ნატახტარის“ გათამაშება იწყება!



გამოკითხვა "სახალხო დარბაზი"